სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 276/06

ქ. თბილისი **აპრილი, 2022 წელი**

ერთი მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის გიორგი შამათავას სახით და მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ნიკოლოზ დადიანის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ“ - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, თითოეულმა პირმა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურეს, რომ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მიმწოდებელთან.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საკუთარი სახსრებით დაფინანსების ფარგლებში, სტუდენტებისათვის საჩუქრად გადასაცემად თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ლოგოთი ბრენდირებული ჩანთების შესყიდვა.

საფუძველი: 2022 წლის 04 აპრილის №7589/29 და2022 წლის 08 აპრილის N 8079/10მოხსენებითი ბარათები

შესყიდვის კოდი: CPV 1853000 საჩუქრები და ჯილდოები

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სრული ღირებულება
1	ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ლოგოთი ბრენდირებული, მხარზე გადასაკიდი ჩანთა; ჩანთის ზომა: 40 x 32სმ; სახელურის ზომა: 67 სმ; ნაჭერი: დიაგონალის ქსოვილი (სქელი ტილო); ბეჭდვის ტიპი: შოლკოგრაფია-ლოგო; 100 ც. წითელი; 100 ც. ლურჯი	200	12.50	2 500.00
სულ ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს:				2 500.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 500.00 (ორიათასხუთასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დირექტორის მოადგილე (საოპერაციო და საკადრო საკითხებში) თეონა ხაინდრავა.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არის: თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს ელექტრონული ფორმით.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 მაისის ჩათვლით.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეebს
დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1

რეკვიზიტები: სახაზინო სამსახური
თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
ბანკის კოდი: TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი
ინდ.მეწარმე ნიკოლოზ დადიანი

მისამართი: ქ.თბილისი; ვ. ბარნოვის ქ. №47
samoseli@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:
სს თიბისი ბანკი: კოდი: TBCBGE22
ანგ.ნომერი: GE21TB7733636010100040
პ/ნ: 01008064038

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2022.05.02 16:15:02 +04'00'

S/P NIKOLOZ DADIANI * პ/პ ნიკოლოზ დადიანი * 01008064038